საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-02/117

ქ. ბათუმი 24 მაისი, 2022 წ.

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 6 მაისის N01-02/107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის", ,,ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/63 გადაწყვეტილების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) 2.2. პუნქტის (28.06.2017 წლის N40 დადგენილება), რექტორის მოადგილის, ანზორ ბერიძის სამსახურებრივი ბარათის (N460784, 06.05.2022 წ) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (N521165, 20.05.2022 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 6 მაისის N01-02/107 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და **ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
   ,,6. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა წინამდებარე ბრძანების **N3 დანართის** შესაბამისად და ეთხოვოს საქმიანობის წარმართვა წინამდებარე ბრძანების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის" (შემდეგში - წესი) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისი ფაკულტეტებიდან/ინსტიტუტებიდან კომისიის წევრის აცილების და იმავე სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციის რომელიმე სხვა წევრით ჩანაცვლების საკითხი განხილული იქნეს საქმისწარმოების მეშვეობით წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მიერ, წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.".
2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).

2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,იურიდიული ცნობარი" (,,რექტორის აქტები") და ველში ,,კონკურსები", კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებასთან ერთად (თანდართული სამართლებრივი აქტებით).
4. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**